Re: Fwd: თამბაქოს სტრატეგია

Natia Khmaladze <natia@moh.gov.ge>

Tue 2/27/2018 7:05 AM

To:Sopo Belkania <sbelkania@moh.gov.ge>;

Cc:mdarakhvelidze@moh.gov.ge <mdarakhvelidze@moh.gov.ge>;

მოგესალმები სოფო,

ამ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებ ჩემს მოსაზრებას:

1. ამოცანა იყო დასმული თუ როგორ შეიძლება ამ დოკუმენტის დამტკიცება-ხელმოწერა მოხდეს სამინისტროს მხრიდან, და შერჩეული ყოფილიყო ხელმოწერის ოპტიმალური ფორმა.

იმისათვის, რომ შერჩეული ყოფილიყო ესა თუ ის ფორმა ფორმა, ბუნებრივია უნდა გვენახა თავად ხელმოსაწერი დოკუმენტიც, რომლის გადახედვის შედეგადაც გაირკვა, რომ იგი შეიცავს მულტისექტორულ მიმართულებებს, როგორიცაა მაგ. სავაჭრო ობიექტების ლიცენზირება, დაბეგვრის საკითხები, სოფლის მეურნეობაში თამბაქოს კულტივირების ნაცვლად სხვა მარცვლეულის კულტივირების სუბსიდირება-წახალისება და ა.შ. მართალია მოცემული ჩანაწერები ჩვენის მხრიდან მაქსიმალურად იქნა შერბილებული (მაგ. სავაჭრო ობიექტების ლიცენზირების ნაცვლად ჩავწერეთ სავაჭრო ობიექტების ლიცენზირების შესაძლებლობების განხილვა და ა.შ.), თუმცა მაინც უნდა ითქვას რომ დოკუმენტი შეიცავს მრავალსექტორულ მიმართულებებს, რომლის „დამტკიცება" სცილდება მხოლოდ ჩვენი სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს.

ამდენად, ის ამოცანა რაც იყო დასმული - ხელმოწერა სამინისტროს მხრიდან, უნდა შეესაბამებოდეს სამინისტროს უფლებამოსილებების ფარგლებს . უფრო სწორი იქნებოდა ამ დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით , მისი განხილვა და დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს მთავრობის მიერ. რაც შეეხება ჩვენის მხრიდან დოკუმენტის ხელმოწერას მას უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი განხორციელების მხარდაჭერის სტატუსი. ანუ ხელმოწერამ უნდა დეკლარირება მოახდინოს იმისა, რომ სამინისტრო იზიარებს და მხარდაჭერას უცხადებს დოკუმენტით გათვალისწინებული მიმართულებების განხორციელებას მისი კომპეტენციების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ვფიქრობთ ორივე ფორმა მისაღები იქნება, თუ იგი ნათლად გამოხატავს „მხარდაჭერას" და არა სხვა რაიმე შინაარსს.

პატივისცემით,
ნათია

> -----Original Message-----
> From: "Maia Nikoleishvili" <mnikoleishvili@moh.gov.ge>
> To: natia@moh.gov.ge
> Cc: sbelkania@moh.gov.ge
> Date: Mon, 26 Feb 2018 19:55:01 +0400
> Subject: Fwd: თამბაქოს სტრატეგია
>
> ნათია, შენი მეილი არასწორად მიმითითებია. გთხოვ, იხილე ქვემოთ მეილი.
>
> > -----Original Message-----
> > From: "Maia Nikoleishvili" <mnikoleishvili@moh.gov.ge>
> > To: nkhmaladze@moh.gov.ge, mdarakhvelidze@moh.gov.ge
> > Cc: sbelkania@moh.gov.ge, mmkurnali@moh.gov.ge
> > Date: Mon, 26 Feb 2018 19:49:33 +0400
> > Subject: Fwd: თამბაქოს სტრატეგია

მოგესალმებით ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხვალინდელ შეხვედრაზე დაგემილია „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვეცია 2030“ პროექტის სტრატეგია: საქართველოს მხარდასაჭერი წერილის ან შესაბამისი ფორმის ხელმოწერა.

დანართის სახით გიგზავნით სტრატეგიის დოკუმენტის საბოლოო ვერსიას, დკსჯ ცენტრის მიერ მოწოდებული წერილის ჩასწორებულ ვარიანტს და სტრატეგიის თავფურცელს, მხარეთა მიერ დოკუმენტის მხარდაჭერის თაობაზე.

სოფოს დავალებით, გთხოვთ, ხვალ დილისთვის, მინისტრის შემდგომი ინფორმირების მიზნით, მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია/დასაბუთება სტრატეგიის პროექტის ხელმოწერასთან დაკავშირებით, შემოთავაზებული ვარიანტების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

მაიკო

Maia Nikoleishvili MPA

Chief Specialist of International Relations Division

HR Management and International Relations Department
Ministry of Labour, Health and Social Affairs of Georgia
144 Tsereteli ave., 0159 Tbilisi, Georgia
Tel.: +995 32 2510034 (0803)
Cell phone: +995 577272713
E-mail: mnikoleishvili@moh.gov.ge

-----Original Message-----
From: Lela Sturua <lela.sturua@ncdc.ge>
To: Maia Nikoleishvili <mnikoleishvili@moh.gov.ge>
Date: Mon, 26 Feb 2018 15:44:21 +0000
Subject: სტრატეგია

Lela Sturua MD PhD MPH

Head, Non-communicable Diseases Department

National Center for Disease Control and Public Health

Tel.: +995 599 111797

E-mail: lela.sturua@ncdc.ge